

განათლება № 49

განათლებული ყრილობა

(შენიშვნები გშმაქისა)

„ეს მართი და სხვა ათასი!“

გუგუნებს დარბაზი,
ბეჭდული ლამაზი,
ტაძარი დიდისა
ბრძენ მეღობღმენისა
სამღერი დრამების
რუსული ენისა.

(„ქვირტი“ ტ. I)

მიუხედავად ჰასაკობროვი სხვა და სხვაობისა, არა მგონია მეორე ქართულ ეროვნულ ყრილობას დასწრებოდეს ვინმე მათგანი, ვისაც იქ ხედავს ჩემი აღფრთოვანებული თვალები.

ეროვნული ყრილობა ბევრით განირჩევა ჩვეულებრივისაგან.

ა) ეროვნულ ყრილობას იწვევს ინტერ პარტიული საბჭო.


ბ) ეროვნულ ყრილობას ესწრებიან უცხო ქვეყნის კონსულები.

გ) ეროვნულ ყრილობას ესწრებიან ადგილობრივი მინისტრები.

დ) ეროვნულ ყრილობის ესწრება კათალიკოსი.

ე) ეროვნულ ყრილობაზე აღმართულია დროშა.

თუ ამ განსხვავებებს ყურადღებას არ მივაქცევთ, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული ყრილობა გაფართოებული კრება წერაკითხვის



ჩივს
ფ. 10

საბ. მოთ
1 მთავარი

უ. კი. ბ. 94

ლოშა კათალიკოსისა.

გამავრცელებელ საზოგადოებისა. რომელსედაც არ უღაპარაკნია ირაკლი რამიშვილს, ხოლო დათიკო მონვემ და წესტორ ცერცვაძემ ვერ იღაპარაკეს იმდენი, რამდენათაც მათი ორგანიზმი შოითხოვდა.

ღიას! ეროვნული ყრილობა იშვიათი ხილი ყოფილა და ამიტომაც სასურველია ამ ერთს, მოჰყვეს სხვა ათასი.

ინტერპარტიული საბჭო.

საქართველოს ყველა პარტიებმა მძიმე ტანჯვასა და წუხილში შეეს საბჭო, რომელსაც სახელად უწოდეს „ინტერპარტიული“.

მიუხედავად ქართული ანდაზისა: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამოჩნდება“, ინტერპარტიულმა საბჭომ მოლოდინს გადაჰარბა და აგრეთვე მძიმე ტანჯვასა და ვაი ვავლახში შვა ეროვნული ყრილობა 19 ნოემბრისა, ხოლო ეროვნულმა ყრილობამ დიდს რახითა და ზემოთ წარმოშობა „ეროვნული საბჭო“.

პირველი დღე.

ეროვნული ყრილობის პირველი დღე 19 ნოემბერია*). ხალხი ტოკავს. ლოყები საესეა წარჩინებული სტუმრებით. პარტერში დღევანდები იკრიბებიან. დაიწყო კამათი დასხდომის შესახებ.

ვინმე სტენიდან. მოქალაქენო! საჭიროა დასხდეთ ასე: მარცხნივ ს. დემოკრატები; შემდეგ ს. რევოლიუციონერები; შემდეგ ს. ფედერალისტები; შემდეგ უპარტიონი, შემდეგ რადიკალ დემოკრატები; შემდეგ ეროვნულ დემოკრატები და შემდეგ თავდაზნაშრობა.

იგივე მეორეჯერ. მოქალაქენო! საჭიროა დასხდეთ აი ასე: წინა რიგში ინტერპარტიული საბჭო, შემდეგ ფრაქციები და სხვა.

გადასხდომ გადმოსხდომა განმეორდა მესამეჯერ. მე რასაკვირველია მახსოვს კრილოვის არაკიდან, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კარგათ დასხდომის და ამიტომაც არ გაჰკვირვებია აღნიშნულ საგანზე ამდენი შრომის დახარჯვა.

დებუტატები დაირაზმენ ზოლებათ და ჟარდაც აიხადა.

აკაკი ჩხენკელი.

ეროვნული ყრილობა გახსნა აკაკი ჩხენკელმა. ჩვენ ისე ხშირათ შევხებივართ აღნიშნულ საზოგადო მოღვაწეს, რომ გვეზინია უკვე გადაჰარბებათ არ ჩავგვთვალოს მისი ხელახალი შეწუხება.

ჩვენ არ შევხებივართ არც იმის სიტყვას ვინაიდან მის შესახებაც უკვე ბევრი ითქვა, საერთოდ საჭიროა აღინიშნოს, რომ აკაკი ჩხენკელის სიტყვა ერთ განუწყვეტელ ტაშთან იყო ჩაქსოვილი.

ტაში (ანუ აპლოდისმენტი)

ჩვენი მსჯელობა „ტაშის“ შესახებ ამ შემთხვევაში დამოუკიდებელია ეროვნულ ყრილობისაგან.

ძველათ საქართველო ცნობილი იყო ლამაზი ქალებით. დღეს იგივე საქართველო ცნობილია შეუდარებელი რევოლიუციონერებით, ხოლო მომავალში ის ცნობილი იქნება განსაცვიფრებელი ტაშით.

სხვა ქვეყნებში ტაშს, ანუ აპლოდისმენტს, ვიწრო მნიშვნელობას აძლევენ. თუ მსმენელს არ მოეწონა სიტყვის შინაარსი, თუ ორატორის აზრი არ ეთანხმება მსმენელისას, ეს უკანასკნელი ტაშს დახაც არ უკრავს.

ამაზე მეტი ბარბაროსობა განა შეიძლება? სულ სხვაა ტურფასა და ლამაზ საქართველოში. აქ სიტყვის შინაარს არავინ არ უყურებს. ტაშს უკრავენ და ისიც მქუხარეს საზოგადოთ ყველას, თუკი ორატორი ხმამაღლა იღაპარაკებს.

ეროვნულ ყრილობაზე პირველ შეხედულობას, ისიც ცოტად-თუ ბევრათ, იცავდა მარცხენა ფრთა კრებისა. ს. დემოკრატები; ხოლო მეორე შეხედულებას საესეებით იზიარებდა დანარჩენი ნაწილი კრებისა.

არ არის დედამიწის ზუგრზე ისეთი ხალხი, რომელსაც ტაშის დაკვრა ქართველზე უკეთ ეხერხებოდეს. აქ აღბათ ჩვენი ეროვნული რაღაცა მარხია.

მისალმებანძე.

თავის ხანგრძლივი და მშვენიერი სიტყვის დასასრულდ აკაკი ჩხენკელი მიესალმა ყრილობაზე მოსულ უცხო საპარტიო სტუმრებს.

* საინტერესოა ამ სიტყვის ძირი. თითქო განტეპაა, სიტყვას ძირითად ქვეყნებელად უქვეს „სოკო“, რაღ ადბათ დიდ სკანებელში ჩაგდებს ბ. ფილიპე მახრამეს.

აქ იყვენ სახელმწიფოთა წარმომადგენელი.

ნაციათა წარმომადგენლნი.

კათალიკოსი კირიონი.


ქართველი ჯარის მთავარსარდალი.

ხალხი დიდის ოვაციებით ეგებებოდა თითო-ეულ მისაღმებას. თამამად შეიძლება ითქვას რომ გულწაკლული იმათგან სახლში არავინ არ დაბრუნდებოდა.

ლოშა კათალიკოსისა

სამწუხაროდ ჩვენს მხატვარს ისეთი პოზიცია ექირა, საიდანაც მხოლოდ ცალი მხრის ლოყები მოსჩანდა. ამიტომ ვერ დავხატეთ დიპლომატთა და მინისტრთა ლოყები

კათალიკოსის ლოყაში ისხდა მთელი მიტროპოლიატი ქართველი ერისა, კათალიკოს კირიონ II მეთაურობთ. ლოყას დიდი საზეიმო სახე ჰქონდა, თუმცა მორთულობა ყოველად სამღვდელთა შავი და თალხი იყო.



(ხასტი ეშმაკის)

ლოშა კათალიკოსისა.

ჟურნალის პირველ გვერდზე იბეჭდება სახება ამ ლოყისა ნახატი. მხ. შალვა ქიქოძის მიერ, ხოლო ეს პატა ფრესკა ვადმოღებულია ამხ. ეშმაკისგან.

შრილობის პრეზიდენტი.

ეროვნულმა ყრილობამ ერთხმად აირჩია კრების თსფჯდომარეთ ნოე ჟორდანი. მის ამხანაგებათ აკაკი სხენკელი, გიორგი ლასხიშვილი და სხვანი. (ტაში).

ნოე ჟორდანი.

ერთ რომელღაც მეფეს უთქვამს: „სახელმწიფო — ეს მე ვახლივარო“. ცხადია იგი ბორკილი იყო მთელი სახელმწიფოსი, რომლის მაგიერობასაც ეპირებოდა.

ბოლშევიკებიც იტყვიან: „რუსეთი ეს ჩვენა ვართ“ო ვინაიდან სახელმწიფოს ცენტრებში ხიშტი მათ უპყრიათ ხელთ. საქმე აქაც ძალადობაზეა. აქ შემავრთებელი ხიშტია.

ნოე ჟორდანისაც შეუძლია სთქვას: „საქარ

თველო, ეს მე ვარო“. პირველ ეროვნულ ყრილობაზე ქეშპარიტათ რომ ის იყო საქართველო.

ნოე ჟორდანი გულითა საქართველოსი და ვის შეუძლია სთქვას გული იგი არ შეეფერება მთელს ორგანიზმსო? რასაკვირველია არავის ქუათა მყოფელს, ხოლო გარეშე ამისა პასუხი ვის მოეკითხება. მართო ხანგრძლივი მოღვაწეობა საქმარისი არ არის, რომ ხალხის გულში ჩაბრძანდე და მოიკალათო.

ქართველი კაცის ხელოვნებამ „ტაშის“ საქმეში უმაღლეს წერტილს მიაღწია ნოე ჟორდანიასთვის გამართულ ოვაციების დროს.

ჩემი შეხედულებით ნოე ჟორდანის ამ დღეს ერთად ერთი ნაკლი - ჰქონდა. ეს ვახლდათ მისი ახალი პიჯაკი, არ ვიცი ეს პიჯაკია გლახათ შეკერილი, არცეი თვალთ მქონდა შეგვეუღლი მის ძველ ტანსაცმელზე.

მილოცვაები.

ერთი რამ გამოირკვა ჩემთვის ისეთი, რომელსაც წინეთ ეპვის თვალთ ვუტყუროდი. რაეჭა,

უნდა გამოვტყდე, რომ არ მეგონა თუ ასე ძლიერ ვუყვარდი ჩვენ ქართველები უცხო ტომებს.

ახლა კი რასა ვხედავ. თურმე ყველანი, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, გაგიჟებული ყოფილან ჩვენის ტრფობით. კავკასიის ფრონტის მთავარ სარდალი სულ მუდამ ქეჩოს კი იფხანდა ლაპარაკის დროს, მაგრამ ეს ისიტომ რომ უფრო მგრძნობიარე სიტყვები გამოგნახა.

- თათრები,
- სომხები,
- უკრაინელები,
- პოლონელები,
- ებრაელები,
- ლუკები,
- აფხაზები,

ყველანი ერთი მეორეს ეცილებოდენ მქვერ— მტყველობაში და დამსწრე საზოგადოების მქუხარე ტაშს იწვევდენ.

აი, მაგალითად უკრაინის წარმომადგენელმა მთელი მოხსენება წაიკითხა თავისუფლების საქორობასა და ჩვენს სიყვარულზე.



უკრაინის წარმომადგენელი.

ერთი სიტყვით ლაპარაკი არ უნდა ჩვენ არა თუ ჩვენს შინაურებს, არამედ გარეშეებსაც თავდავიწყებით გყვარებივართ და თუ აღდენ ხანს სიყვარულს

რულს ვერ გვიმტაცებდენ, ამისი მიზეზი უმთავრესად ძველი რეჟიმი იყო.

გზჯვარი კათალიკოსისა.

საერთო ყურადღება ყრილობისა მიიპყრო კირონ მეორის გუჯარმა.

დიდი ამბავი გამოიწვია ჩემს ლოქაში კამათმა იმის შესახებ, თუ რა ენაზე იყო დაწერილი ის ირადე, რომელიც მამა ნიკიტა თალაკვაძემ წაიმღერა.

მე ვერ ვიტყვი უქვეყლად ქართული იყო მეთქი, მაგრამ შორე ნათესაობა რომ ჰქონდა ქართულთან ეს ჩემთვის ყოველივე ექვს გარეშეა.

მეორე დღე კრებისა.

მომენტი და ორიენტაცია.

ნოე ჟორდანიას მოხსენება მომენტის შესახებ, ეგ ის ღერძია, რომლის გარშემო ტრიალებდა პირველი ეროვნული ყრილობა.

მთელი კრება სულგანაბული უსმენდა მომხსენებელს. ხანდის ხან ჩვეულება წასძლევდა მსმენელთ და დარბაზში მქუხარე ტაში გაისმოდა.

ერთხმად მოწონებულ იქმნა დასავლეთის ორიენტაცია, წინაღმდეგ აღმოსავლეთისა.

სრული თვითმართელობა, საშინაო საქმეებში საკუთარი კანონმდებლობით;—აი ჩვენი მოთხოვნილებაო, ამბობს მომხსენებელი და ვაისმის გამაყრუებელი ტაში*).

მომხსენებელს არავინ გამოეკამათებოდა, თუ რომ კრებაზე ფილიპე მახარაძე არ ყოფილიყო.

*) ქ — ნმა ეკ. გაბაშვილმა მწუხარებით განაცხადა: — ქალებო, უვაილები უნდა მოგვეტანა და ნოესთვის მიგვეყვარაო.

მე უნებლიეთ გამახსენდა ამ წინაზე ეკ. გაბაშვილის მიერ ნოე ჟორდანიასადმი მიუწერილი წერილი გაზ. „საქართველოში.“ მაშინ უდიდესი ცილისწამება გაუკეთებოდა, დღეს კი უვაილები! ჩინებუელი ნაბიჯია წინმსჯელობისა.



ფილიპე მახარაძე.

ფილიპე მახარაძემ ორი ორატორის ულუფა ილაპარაკა, მაგრამ აზრი მაინც ვერ გამოხატა.

მისამამ დღე.


მოხსენება კ. აფხაზისა.

ქართველმა თავად-აზნაურობამ ეროვნულ თანხას მთელი თავისი საზოგადო საკუთრება დაუდო საფუძვლათ.

საიდგილ-მამულო ბანკები,

კახეთის რეინის გზა

სათ.-აზნ. გიმნაზიები და კიდევ რამოდენიმე სახლი, აწ ქართველი ერის საკუთრებას შეადგენს.



კ. აფხაზი.

კონსტ. აფხაზმა ამის შესახებ ვრცელი მოხსენება წაიკითხა. მე ძლიერ მეწყენა რომ ის კითხულობდა, ვინაიდან კ. აფხაზმა ჩინებული ზებირი ქართული ლაპარაკი იცის. საზოგადოება და ყრილობა სიამოვნებით შეეგება ამ განცხადებას და თავმჯდომარემ კრების სახელით მადლობა განუცხადა.

კ. აფხაზის მიგალითს მიჰპაძა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა დავით



დ. ნიუარაძე.

ნიუარაძემ და ვააცნო საზოგადოებას იმიერ აზნაურობის დადგენილება.

ხალხი უმადურია საზოგადოთ; ვილაცამ ჩილაპარაკა:—ეს მოძრაობის წინაშე ქედის მოხრა იყო, თითქო მოძრაობის დაწყებამდე არა ჰქონოდა ეს თავად-აზნაურობას ეს განზრახვა გულში ჩამარხული. დიხსაც ჰქონდა, მაგრამ ძველი ბარბაროსული მთავრობა ნებას არ აძლევდა ამისას.

დასასრული წოვ ჟორდანამ განაცხადა, რომ ამიერიდან ყოველი ქართველი მხოლოდ მოქალაქეა, ვინაიდან მალე გამოვა ცნობა, რომლითაც ყოველგვარი წოდებრივი პრივილეგიები ისპობაო, საერთო ტაში.

მითხმე დღე.

სექციები.

ყრილობამ აირჩია ცხრა სექცია და თითო-ეულმა სექციამ დაიმუშავა თითო რეზოლიუცია.

აი სექციები:

- 1) ეროვნული საკითხის —
- 2) ერობის.
- 3) სამხედრო.
- 4) სკოლა.
- 5) აღმინისტრაციის
- 6) იუსტიციის
- 7) საფინანსო
- 8) სასურსათო
- 9) ქონების.

ჩვენ ძლიერ სასიამოვნოთ დაგვჩა ის გარე-შობა, რომ სექციათა რიცხვი (9) წამდელი ქართული რიცხვია.

რეზოლიუციები.

ა) ეროვნული საკითხის შესახებ.

- რუსეთის ორიენტაცია.
- კავშირი რუსეთის დემოკრატიათან.
- ამიერ კავკასიის კომისარიატის მხარის დაქვრა.

— საქართველოს ეროვნულ საბჭოს შედგენა, რომელიც ადგილს დაუთმოთ საქართველოს ხელს.

— დამფუძნებელი კრების მოწვევა რუსეთისათვის.

— საქართველოს ტერიტორიის სრული თვით-მართებლობა საკანონმდებლო კრებით.


ბ) სკოლა.

- სკოლების სრული ნაციონალიზაცია.
- სკოლა უნდა იყოს საყოველთაო, საერო.

ინციდენტი*)

ამ უკანასკნელმა მუხლმა დიდი კამათი გამოიწვია. სიტყვა ითხოვა ჩვენმა საყვარელმა აგიტატორმა ნესტორ ცერცვაძემ და განაცხადა:— მივირს ღმერთმანი, მთელი ქვეყანა იბრძვის სკოლის ეკლესიიდან განცალკევებისათვის, ვინაიდან

ეკლესია არის დედა ყოველივე ბოროტებისა და ცრუმორწმუნოებისა. საჭიროა აღინიშნოს, რომ სკოლა განწმორებულ იქმნება ეკლესიისაგან.



ნესტორ ცერცვაძე.

ორატორს განუმარტეს, რომ „საერო“ მართო კახურ ღვინოს როდი ნიშნავს, არამედ სკოლის ტიპსაც, რომელიც თავისთავად გულისხმობს ეკლესიიდან განწმორებას.

შეტანილ იქმნა შესწორება ამგვარათ:


— სკოლა უნდა იყოს საყოველთაო, საე-

*) Скандалъ.

ლდებულო, საერო (განშორებული ეკლესიისაგან) უფასო და სხ.

შესწორებას კენჭი უყარეს და მიღებულ იქმნა ერთხმად. წინააღმდეგ ხმა მისცა ორმა კაცმა: გრიგოლ რობაქიძემ ნიკიტა თვალაკაძემ.


ნესტორ ცერცვაძის გამოხვლამ დიდი აუტანური ასტეხა მშვიდობიან ხალხში. წარმოიდგინეთ გამწვანებამ იმ ზომამდე მიადწია, რომ ზოგიერთები (პირს უკან) მას ბოლშევიკსაც კი უწოდებდნენ. აღელვებული ხალხი მხოლოდ მაშინ დაწყნარდა, როცა თავმჯდომარემ შენიშვნა მისცა სასულიერო ორატორს შკვაზე სიტყვების ხმაურებისათვის.



თავადი ორბელიანი.

მოხუცი თავადი ორბელიანი, რომელიც სოფლიდან ჩამოსულა ამ ზეიმზე დასასწრებლად, რამოდენიმეჯერ შეეცადა ნესტორ ცერცვაძის დახატვას, მაგრამ შორე მანძილის გამო სურათი ორიგინალს არ დაემსგავსა. დავით ნიჭარაძეც ერთობ აღელვებული იყო ამ გამოხვლით.

შემდგომ ამისა მიღებულ იქმნა დანარჩენი შვიდი რეზოლიუცია. სასამართლოს სექციის შესახებ ილაპარაკა სექციის თავმჯდომარემ და ამიერკავკასიის კომისარიატის წევრმა შალვა ალექსი-შე-



შალვა ალექსი-შესხიშვილი.

სხიშვილმა, საზოგადოთ ყველა რეზოლიუცია, როგორც პარტიითა შეთანხმების ნაყოფი ერთხმად მიღებულ იქმნა.

ჯანმრთელობის სმცნია.

იმელი მხოლოდ ერთად ერთმა სექციამ გაგვიმტყუნა. ეს გახლდათ ჯანმრთელობის სექცია. მომასხენებელმა ასე დაიწყო:—ვის არ მოგხსენება, რომ „ჯანსაღ აგებულობაში საღი სული და გონება ზის“-ო.

მაგრამ მოგხსენებთ აგრეთვე მეორე ქართული ანდაზაც: „ტყუილს მოკლე ფეხები ასხიაო.“ არც კი ჩამოსულიყო ორატორი ჯანმრთელობის სცენიდან, რომ ტრიბუნაზე გამოჩნდა უჯანსაღესი დღევანდელ ორატორთა შორის, ნიკოთავდგირიძე, და ჯაეხიშვილს ნათქვამს: „ჯანსაღ აგებულობაში საღი სული და აზრი ზისო“, მახელილი ჩასცა.

ნიკოთავდგირიძემ აშკარათ დაამტკიცა, რომ ეს ეგრე დიხააც არ არის. რომ ჯანსაღ აგებულებაში ზშირად არა თუ საღი გონება, არამედ კოქლიც არ მოიპოება.


მოქალაქე რუსეთის რესპუბლიკისა ვაჭართა იერემიად გამოვიდა და განაცხადა:—საბრალო ვაჭრები არიან მიტოვებული თავის ანაბარა, არავინ შათ ამბავს არა კითხულობსო.

ოღონდაც, ოღონდაც დროა მოიკ თხოონ შათი ამბავი.


ეკონომულ ყრი-



სტეფანე ასმეტელაშვილი.
ქართველ ჯარის მთავარსარდალი.



შალვა ამირაჯიბი.




გურამიშვილი.
(როცა ის უსმენს ნოე ჭორდანას)

ლობის გაგო



განო ჩერქეზიშვილი.
(როცა ის უსმენს სწორე უორდანიას)



ვლ. გობეჩია.



ილია ზურაბიშვილი.

დასასრულ არჩეულ იქმნა დროებითი ეროვნული საბჭო. 60 კაცი საგან შემდგარი და მოკლე სიტყვის შემდეგ თავმჯდომარემ კრება დახურულა და გამოაცხადა.

ნ ა ღ ი მ ი.

პირველ თქმულია ძველთაგან
სიღარბაისლე მესხისა,
პურადობა და ვაქრობა
ქართლელთ არა ეძრახვისა,
ზრდილნი არიან იმერნი
მტერთა მიმკემი რისხვისა,
ომი და ლხინი კახისა
მოსაწონია კაცისა.

და არ ვიცი რა მნიშვნელობა ექნებოდა ამ ეროვნულ ყრილობას, თუ კი მისი დამთავრების შემდეგ ქართულ კლუბში ვახშამი არ გამართულიყო. ლაპარაკი თავისთავად და ვახშამი კიდევ თავისთავად.

საკმაოდ ხალხმა მოიყარა თავი. ხუთი, თუ ექვსი გრძელი სუფრა იყო გაშლილი და მათ ვარშემო განსაცვიფრებელის ხალისითა და ენერგიით მოქმედებდა კრებაზე დანაშაუნი საზოგადოება.

თამადათ ერთხმად არჩეულ იქმნა, აწ ეროვნულ თამადათ წოდებული, ქართველი სოციალისტ—რევოლუციონერი გრიგოლ დიასამიძე. უკეთესს ჩვენ ფიქრადაც ვერ გავიფიქრებდით გულში.

ჩვენი თამადა სავსე სასმისით დადიოდა მოქვიფეთა შორის და საცა კი შეიქრებოდა ყველგან შეჰქანდა მხიარულება და აღფრთოვანება. მას დიდის ენერგიით ეხმარებოდა ჩვენი მგოსანი ვარდენ ღვანკითელი.

წარმოითქვა რამოდენიმე ვრცელი და ბოხი სიტყვა მომენტის შესახებ. ამ მხრივ საზოგადოების ყურადღება მიიჯაქვა ტრიფონ ჯაფარიძის კეკლუცმა მეტყველებამ, თუმცა მას არც ალ. წერეთელი ჩამორჩენია.



ქ ე ი ფ ი.

ხალხის თხოვნით ჩინებული ლექსი წაიკითხა მგოსანმა გრიშაშვილმა და არავის არ უთხოვია ისე მგოსანმა ღვანკითელმა. თამადამ წინადადება მომცა რამოდენიმე სიტყვა მეტ წარმომეტქვა ამ სა-

ისტორიო მომენტის შესახებ, მაგრამ ხალხის საუბედუროთ ერთ—ერთმა კნიაენამ სწორეთ ამ დროს მოგვიტანა მშენიერი წინილი კომბოსტოისა და რამოდენიმე მჭავე კიტრი. აბა სად მივიცილიდი.

წაიკითხა
მგოსანმა
გრიშაშვილმა
და არავის
არ უთხოვია
ისე მგოსანმა
ღვანკითელმა.

მალე გაიმართა ცეკვა-თამაში, საუცხოვო სანახავი იყო ქალ-ვაჟთა შეჯიბრება ფეხების გასარსაღებასა და მიხერა მოხერაში. მოთამაშეთა ირგვლივ თავი მოიყარა აურაცხელი ხალხმა და ნადიმის ცენტრი ჩრდილოეთ კუთხეში გადმოვიდა. აქვე მოვიდნენ ჩვენი ძმანი მაჰმადიანი ქართველნი.

მათ მხურვალე სიტყვით მიმართა ქუთაისის გუბერნიის კომისარმა გ. გიორგაძემ და პასუხად მიიღო აგრეთვე მხურვალე სიტყვა მოლა ისკანდერ ციციძისა.

აქვე მიღებულ იქმნა სადღევრძელო აკაკი ჩხენკელის, როგორც აჭარელთა უახლოესი ქირიოსულისა.

ნადიმის დასასრულ სუფრას მხოლოდ მე და კოტე ტყავაძე შევერჩით, რათა ერთმანეთისათვის გაგვიზიარებია ურთი ერთ სიყვარული და თანაგრძნობანი.

საზოგადოთ ნადიმმა ჩემზე მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა და გულწრფელად ვისურვე მისი განმეორება მაინც თუ რომ კრების მოწყობა ძნელი იქნება.

ეშმაკი

რატომ გამოვიქმეცი და როგორ გამოვიქმეცი
 (თბილისიდან*)

იმ არა ჩვეულებრივი აღაშინის ვინაობა მე დღემდის არ ვიცი, იმან კი დიდი ხანია რაც ჩემი

*) ეს წერილი უნდა მიმეძღვნა ქართველ მწერალთა საბჭოსათვის, მაგრამ არ მიმიძღვნა, რადგან არ ვიცოდი და არც ვიცი: არსებობს თუ არა სსსრული საბჭო, „როგორც იურიდიული“, რომელსაც შეუძლია მიიღოს ძველი. თუ, ვიფიქრე, მწერალთა საბჭო არ არსებობს როგორც „იურიდიული პაროქია“, ხმ დაიკარგა „ამდენი ნაცდელივე“. მაგრამ თუ კი ის შეადგენს ამხანაგს, მას ეძლევა უფლება განსჯას მრეტუნობა აქ მოყვანილ დიქტანტურულ საკანძურზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს მისთვის არ მიმიძღვნა. სწორედ ამისი განსჯადაა იყო შენიშვნის მიზანი. შეიძლება უფლებივე ეს მისხვედრია შეუნიხვადან! შეიძლება ამიტომ უდგოდონ არის ეს შენიშვნა? მაგრამ რაკი დაიწერა — დარჩეს. უადგილო განცხადება იქნება? მამ ეს ორი სტრაქიონის დასაჯდება ან რას დაქმნება?!

თარაში.

ყურადღება მიიქცია. თბილისის სამკითხველოებში მრავალ გზის შემინიშნავს მასი დანადგლიანებული სახე. ყოველთვის მოუსვენარი და აღელვებული ათვალთვრება ხოლომე გახეთქებს და გაფითრებული, მუდამ ერთსა და იმავეს ბუტბუტებდა:

— საცოდავია... საცოდავი სწორედ...

— რა ამბავია!.. ვისზედ ამბობთ მაგას?— გაგებდე მე ერთხელ და დავეკითხე ისეთი კილოთი, თითქოს პირველად მსმენოდა მისი ჩივილი.

— საშინლად მეცოდება ეგ უდანაშაულოდ დასჯილი კატეგორია მოქალაქეთა — სთქვა იმან ჩემად, მაგრამ ბევრთად და მომაპყრო თავისი შავი, ფართოდ გახელილი, მკრთალი თვალები. რამდენი მოუსვენობობაა ამ შემინებულ თვალებში? რამდენი დაღლილობაა ამ ფერმიხდილ სახეში? რამდაქანცა ეს აღაშინა! რამ გახადა ასე მოუსვენარი!

— უკაცრავად... ვერ გავიგე რომელ მოქალაქეებზე ამბობთ!— დავეკითხე წყნარად, კრძალვით.

მისი მოშავო წაბლისფერი თმა და წვერი, მოძველო პალტო და ასეთივე შლიობა ისეთ შთაბეჭდილებას ახდენენ, რომ გვეგონებათ: უთუოდ მესამოცდაათე წლების „ნაროდოვოლეცია“. ეს გარემოება უფრო საყურადღებოთ ხდის მას ჩემთვის და მეც მთლად სმენად გადაქცეული ვცდილობ არ ვავაბარო არც ერთი მისი სიტყვა.

— ჩვენი უზრუნველ გახეთქების მკითხველებზე მოგახსენებთ.

— სწორედ ვერაფერი გავიგე თქვენმა მზემ... რაშია საქმე?— არ მოვეფიცი მე, რაკი ვნახე, რომ არ იყო ჩემთან ბაასის წინამძღვენი.

— საქმე იმაშია, რომ არ არის ისეთი სულელი, რომელიც ჰკუას არ ასწავლიდეს ჩვენებურ მკითხველს... მიუხედავად იმისა რომ ის თავისუფალი მოქალაქეა, არ არის ისეთი მოცილილი, რომ არ აძლებდეს მას თავისი უსაქმურობის ნაყოფს.

მის ხმაში გაისმა შეუბრალებელი კილო, გამანიავებული, გესლიანი კილო და მეც გაშტერებული მივაჩერდი მოუსვენარ თვალებს: ღმერთო ჩემო! რამდენი შხამიანი სიბრაზე იმარხება მათ შვიფურსკულოში!..

— განა საცოდავი არ არის კაცი, რომელიც რამე აზრს ეძებს ვოველ-დღიურ გამოცემებში?— განავრძო იმან მკებნავი ვნით — საცოდავი არ არის...

ჩემის აზრით თავი ამ საბრალლო ადამიანისა, რომელსაც მკითხველი ეწოდება, განსაკუთრებით პატარა ზომისაა, შუბლი კი ვიწრო და ჩაწეული... სახე ამ ჯიშის ხალხს მუდამ უზაროდ მოცინარი უნდა ჰქონდეს. ექვს გარეშეა, რომ მათ სჭირთ ერთგვარი სულიერი ავადმყოფობა, რომელსაც ჰქვიათ „უწყინარი სიგიჟე“. ასეთი ავადმყოფი მოუჩინებელი არის და ყოველად უიმედოა. ავადმყოფობა უმეტესად იმაში გამოიხატება, რომ სწული ხმას არ იღებს, როგორათაც უნდა არ მოეპყრან, არის თავის თავად და იღიშება. დაბეჯიდებით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი სწული მართლა სჭირს ყოველდღიური პრესის მკითხველებს, თუ კი, რასაკვირველია, არსებობენ ისინი. აბა რატომ არ იღებენ ხმას!.. მე იმდენად მწამს ქართველი კაცის საღი გონება, რომ არ მჯერა ქართველი მკითხველის არსებობა; მაგრამ ქართული ჟურნალ-გაზეთები და მწერლები? მაგრამ ჩემი ნაცნობები, რომელთა შორის დიდი უმრავლესობა ქართველი ჟურნალისტი? საიდან განდებოდნენ ნეტა ისინი მკითხველები რომ არ ჰყოლოდათ? ჟურნალისტიკაც ხომ ერთგვარი საქონელია და უზაროდ მისი წარმოება ხომ შეუძლებელია. გასაკვირვალ მხოლოდ სამწუხაროთ ეს არის თუ საიდან გაჩნდა ქართველი მკითხველი, თორემ მისი არსებობა ყოველ ექვს გარეშეა... ისტორია არავითარ ცნობებს არ იძლევა ამ ცხოველთა შესახებ, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ შოთა რუსთაველს მეორე ხარისხიანი როლი არ უთამაშანია მის გამრავლებაში... შოთამ შეაყვარა ქართველებს წიგნი და ამ გარემოებამ იქონია საბედისწერო შედეგი. ყოყელი დაწვერი, განურჩევლად მისი დაწვერილის ხასიათისა და დანიწულეებისა, აღტაცებას იწყებდა: აი ეს არის რომელიმე რომ დასწერა... ეს არის, რომ პეტრიას ბიჭი ჩაგდო ვაზეთშიო, საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგიერთი თავგამოდებული ქართველი—მოთამაშე ბავშვების მიერ დახაზულ ქვიშაში შოთას რითმებს ჰპოებდა... მაგრამ უმედურება ამით რომ თავდებოდეს თქვენი ჰირიც წაუღია... საქმე იმაშია, რომ მკითხველ საზოგადოებას ყველგან შეადგენს შეგნებული ნაწილი ხალხისა. ჩვენშიც მათ მოწინავე ელემენტი ჰქვია. და უბედურებაც იმაშია, თუ არის ვინმე, რომელსაც სჭირია ჩვენს ყოველ-დღიურ გამოცემებში სიბრძნის მაძიებელთა „მოწინავეობა“. მე ესეც

მინდა არ მჯეროდეს, მინდა გამოვიჩინო ოპტიმისტობა... მაგრამ ფაქტები!.. ფაქტები!.. ჟურნალ-გაზეთები მატულობენ, ბეჭდვითი სიტყვა ფებს იღვამს, აი რას გვეუბნება უტყუარი სინამდვილე. აშკარაა რომ მკითხველებიც მრავლდებიან. მე წარმოდგენილი მაქვს ის საშინელი დრო, როცა მთელი ჩვენი ხალხი მკითხველებისაგან იქნება შემდგარი და ჩვენი ქვეყნის მომავალი ბურუსით იმოსება ჩემს წარმოდგენაში. დამაჯერეთ, რომ ჩვენს პრესას არა ჰყავს მკითხველები და მეც ვიწამებ ჩვენი ერის მომავალს! მე ეს მინდა მწამდეს! მინდა მჯეროდეს! მაშ დამაჯერეთ!

უკანასკნელი სიტყვები მან ისეთი პაფოსით წარმოსთქვა, რომ ჩვეულებრივი სიჩუმე ძალაუფებურად დაირღვა და სამკირხველოს გამგე იძულებული შეიქნა სასტიკად შეენიშნა ჩვენთვის:

— სამკითხველოში ლაპარაკი არ შეიძლება და თუ სალაპარაკო—გაქვთ, კარში გაბრძანდით.

რამოდენიმე კვირის შემდეგ ენახე ჩემი უცნაური „ნაროდოლოგია“ ჯარისკაცთა ბაზარში. სახე მთლად გაშრობოდა და დაღურჯებოდა. თვალჭმ ჩავარდნილი და წვერ-აბუჩბნული, ეხლა ის მაქსიმ გორკის ტიპებს უფრო მაგონებდა ვიდრე „ნაროდოლოგის“.

— ქართულ გაზეთებს სომხის ნაციონალისტები სცემენ, რომ დატანჯონ ქართველი მკითხველიო— უმტიკცებდა ვაცხარებით ჭრის გრძელწვერა მეწერილმანეს.

ამგვარ უცნაურ პირებს მე ერთობ ხშირად გნებდები და ძლიერ საინტერესოა მათი მოსმენა, მაგრამ ჩვენი ნაცნობის ენა უკვე არ ანთხველა წინანდებურ შხამს და არ მეტყველებდა გუშინდელი სარკასზით. მის ხმაში ისევ გამოკრთოდა სიცხარე. მაგრამ თვით სტყვებში არ ხჩანდა უწინდელი ძალა. ჩემის აზრით, თითქოს ცხედავდი—თვალით, რომ საღლაც შორს, სიღრმეში, მოშვეებული იყო პატარა ვინტი, რომელსაც აწ ვერაჟერი ეშველებოდა, მე გგონია, რომ ის არც წინად იყო რიგზე, მაგრამ... დემეტომა ბრალდებულს მოჰკითხოს!

— ნაციონალისტები აქ რა შუაშია—დავიწყე მორიდებით, დიდი ხნის დუმილის შემდეგ, მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ შემეწყვიტა უხებრული მღუმარება— ამ საკითხში მე ვეთანხმები თქვენს წინანდელ აზრს... ჟურნალისტიკა არის ერთგვარი

საქონელი, რომელიც მზადდება ბაზრის მოთხოვნილებებისამებრ... და თუ თქვენი „გემო“ ასე თუ ისე, არ არის დაკმაყოფილებული, ამის ბრალია „უგემურობა“ იმ უპირადღესობისა, რომელიც შეადგენს ბექდვითი სიტყვის ბაზარს, თორემ... ნაციონალისტები აქ რა შუაშია!..

— თქვენ ყველგან ბაზარი და საქონელი გელანდებათ... თქვენ ალბად მარქარისტი ხართ!.. განა ბაზრის მოთხოვნილება იწვევდა ძველი რეჟიმის დროს მათრახების ტლაშუნს?... სრულიადაც არა!.. თქვენ იცი თუ არა, რომ სადისტები იცვამდნენ პოლიციელების ფორმას, მოიმიზვნებდნენ რიგიანობის დაცვას და ყოველ უდანაშაულოთა უწყალო დევნაში ჰპოვებდნენ სიამოვნებას!.. ეხლა იგივე სადისტები რედაქციებში ჩასხდნენ, რაკი სხვაგან ვამოეცალათ სამოქმედო ასპარეზი... ამზადებენ საზოგადო მოღვაწეობას და აწამებენ ხალხს!..

გათავა იმან ცხარედ თუ არა, გაკმიდა ხმა მოულოდნელად და გარტყბულივით მიაშტერდა შდრს, შორს, სივრცეს. დააკვირდა, დააკვირდა, დაიწია მოიხადა ქუდი და ფეხ აკრეფით მიეფარა ქუჩის მახლობელ კუთხეს.

— ვეუბნებოდი ამ დალოცვილის შვილს — ჩააქნია თავი გრძელ წვერა მეწვრილმანემ — ნუ კითხულობ მაგდენ ვახეთებს, თორემ სიკეთეს არ გიზამს მაგი-თქო... ნაცნობი კაცის შვილია, საყვარელი კაცის... კარგი ყმაწვილიც იყო და კარგი მინდოდა მისთვის... მაგრამ არ დაიჯერა და აი ეხლა რა რიგად იღუბება კაცი... ყველაფერს ზომა უნდა ჩემო კეთილო, ყველაფერს!.. გუშინ ერთს ყმაწვილ კაცს... მწერალიაო და... კინალამ ქოჩორი ჩამოუფუცქენა... „ესენი არიან ჩემი დამღუბველებიო“... „რედაქციები უთუოდ უნდა დაემტვრიოვო“... ვერ დავამშვიდეთ... არ იქნა!.. იყვირა... პირზე ქაფი მოერიდა... განა ასე უნდა კაცი!.. განა ასე უნდა სწავლის გამოყენება!.. ა, ყმაწვილო!.. თქვენ ხომ რამე არ გნებაუთ?..

...იმავე დღეში იყო, თუ არ ვცდები: ქუჩაში ჩემს გვერდით გაითხოზარკა ახალდროინდელმა მტერმა ყურნალისტიკისამ. უკანიდან ის მართლა „გორკის ტიპი“ იყო. ნაროდოვოლცის ის უკვე არ მოგავიწყდება. ცოტა არ იყოს შეშინებული მისი სახის მოსარიდებელი გამომეტყველებით, მე გავყვე

მას შორიდან როგორც ჯაშუში რომ არ შეგენიშნეო ხელების ქნევით და მუქარით მიეშურებოდა ვამალებული. მისი მწყრომარე „ესტეტიკულია“ თანდა თან უფრო ტრალიკული ხასიათს ღებულობდა. ფეხებს თან და თან უჩქარებდა და მიქროდა ქარივით.

— ის განა მე ვარ!.. არა... ის სხვა იყო... იმას უყვარდა... სძულდა... სწამდა — მუტუტებდა თავისთვის როგორც უნიკოდ დაწერილი დრამის ტრალიკული გმირი — მას ჰქონდა ლტოლვილება მშვენიერებადმი... ეწაფებოდა მწერლობას!.. მაგრამ ის მოშხამეს... ის მოკლეს!.. მერე ვინ!.. ვინ?!.. სწორედ ამათ!.. ამათ!.. აგერ რომ მოდის... ისინი თქვენ კინტოები გგონიათ ხახვით რომ ვაქრობენ... არა!.. ყურნალისტები! ან და აგრე ქუჩას რომ სწმენდავს, თქვენ ალბად მეგზოვე გგონიათ! ჰმ... რა გულუბრყვილობაა! მაგიც ყურნალისტი... მე მძულს იგი... მე იმან მომკლა!.. მე შური უნდა ვიძიო... მე არ შემძლია ის ის-ის... ის... ო-ო-ო... ღღ... ღღ...

მშერი მხეცივით და ბრაზმორეული ეტაკა მეგზოვეს. ატყდა ხმაურობა, ჩოჩქალი. ქუჩა ხალხით გაიქედა. წინაღმდეგ ჩვეულებისა ამობრძანდენ მაშინ მილიციონერებიც. პირზე ქაფ მორეულ ღონე. მიხილ „გორკის ტიპს“ ჩააღეს ხელები და გააქანეს ეტოისკენ. საზარელი იყო სწორედ მისი სახის გამომეტყველება, და მასსოვს ორ ქალბატონს გული შეუწუნდა მის დანახვზე. მეც აქ დავანებე თავი მის დევნას, როგორც სრულიად უსარგებლო საქმეს.

— იმავე საღამოს სამკითხველოში ძალაუნებურად დავაკვირდი მკითხველთა სახეს და ვაკვირებული დავჩი მათი უცნაური მსგავსებით შეშლილ „ნაროდოვოლცთან“

ყვლა გაფითრებულია, ყველა ფერმიხდილია, ყველა თვალჩაცვივებულია. ეგ არისწამობტებიან და დაიწყებენ ღალადის.

— ქართულ ვახეთებს სომხის ნაციონალისტები სცემნო! — და მეც ავყვები უთუოდ! უთუოდ ავყვები მეც!

— დმერთო ჩემო!.. ეგ რა მემართება!.. რატომ კითხულობენ ისინი ამ წყეულ ვახეთებს!.. რატომ არ ანებებენ თავს!..

მე არ ვიცი კიდევ რა ვიფიქრე, მაგრამ ეხლა

დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს ფიქრებს ხმა-მაღლა ვამქადავებდი, რადგანაც განრისხებულმა სამკითხველს ვამცემ სასტიკად შეშინებას:

— ყმაწვილო, მე თქვენ რამოდენიმეჯერ გითხარით, რომ სამკითხველოში ხმა-მაღლა ლაპა-რა-კი აკრძალულა-ა-თქო.

მე გამოვედი გარედ, მაგრამ უკან კიდევ ბევრ ხანს მესმოდა ჩურჩული. „ალბად ჩემზეა ლაპარაკი“, ვფიქრობდი ბრაზქორეული და გაძალღებით მივექანებოდი ბინისკენ.

მიველ თუ არა, ჩემს დანახვაზე დიასახლისს გული შეუწყუნდა. „ნუ თუ ესოდენ საზარელია ჩემი სახე“, ვიფიქრე და ავიღე სარკე, მაგრამ... თქვენს მტერს, მე დავინახე:

— კარეკატურა, სწორედ კარეკატურა შეჩვენებული „ნაროდოვოილცისა“!..

მე ღრმად ამოვიოხრე. ალბად, ვსთქვი გულში ნაღვლიანად, მეც მალე დავემსგავსები „გორკის ტიპებს, ან და“... ვავედევნები ვილაცას იქნება ფესხაცმელით ხელში! არ ვიცი რატომ უნდა მოვიტყე ასე, მაგრამ უეჭველია ვიზამ მას! უკვე მფრთხილებდნენ, რომ „ღამით საშინლად ჰბოდავდა გამწვავებული სიციხარით იხსენიებ ნაციონალისტებსა“. აწ მივხვდი თუ რატომ მესიზმრებდა ეგ ოხერი ჯიში ორფეხოვანი ცხოველებისა.

მივხვდი და მეორე დღეს, როცა ჩვეულები-სამებრ, ვაზნებების წასაკითხავად სამკითხველოში მომინდა წასვლა, მე ძალა დავატანე ჩემს თავს და ვაგზლისკენ ვავემართე.

რომანისტი რომ ვიყო, უთუოდ უნდა ამეწერა ჩემი ამადლებული სულიერი განწყობილება, როცა მე დიდი თავგამოდებული ბრძოლის შემდეგ ვიპოვე ალაგი ვაგონში.

მაგრამ მე რომანისტი არა ვარ და ამიტომ ვჩქარობ მიუაათო ტრაგების მოყვარე მკითხველებს სენსაციურ რომანებსზე, სადაც, ასე თუ ისე, ყოველ-თვის შეგძლიან გაცნოთ გამარჯვებული გმირების ფსიხიურ განცდას.

მე სწორედ იმას განვიცდიდი, რასაც ვანიცდი ხოლმე კაცი, რომელიც ეგ არის ვადარჩა საბედის-წერა განსაცდელს ასეთი ვანცდის აღწერაც ყოველ-თვის ბლომად მოიპოვება რომანებში და მეც მკითხველებს იქით მიუთითებ.

თუ თქვენის ფიქრით ესეც არ კმარა ამ სურა-

თის სრულ საყოფად, იმ გარემოებით მაინც შეგიძლიათ იქონიოთ ცოტაოდენი წარმოდგენა, რომ სრულებით არ შემშინებია როცა ვაინმა:

— თქვენი ბილეთი!—ო, მიუხედავად იმისა, რომ მქონდა საბუთი ცუდად მომჩვენებოდა საქმე. ასე უცნაურია ხოლმე ადამიანი თავისი ცხოვრების განსაკუთრებულ მომენტებში!

— თქვენი ბილეთი?!—განმეორდა კითხვა და უკვე აშკარა იყო რომ მზადდებოდა მეორე განსაცდელი, არა ნაკლებ საშინელი, ვიდრე ადგილის მოპოვება ვაგონში.

მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, რომ ადამიანს განსაცდელის დროს უზრუნდება მთელი თავისი არსებობის ინსტიქტი, მთელი თავისი სასიცოცხლო ძალა!

ამ წამში უნდა გადაწყვეტილიყო: თბილისში დარჩენა, თუ წასვლა!.. ეს იყო ჩემი ყოფნა არ ყოფნის საკითხი. ასეთ წამებში კი ადამიანი უფრო საზრიანად მოქმედობს ვიდრე ჩვეულებრივ დროს. ალბად ამიტომ მოხდა, რომ არ დავბნეულვარ.

— რომელი ბილეთი?—დავეკითხე პირიქით თითქოს არც გამეგო რაზედ იყო ლაპარაკი.

— როგორ თუ „რომელი ბილეთი“!—განიმეორა იმან ჩემი კითხვა მკვახე ირონიით.

დიდი უზრდელი ვინმე კია ეგ არამზად!

—გთხოვთ დასტოვოთ ვაგონი!.. მე მაშინათვე წარმომიდგა ყოველგვარი საბედისწერა შედეგი ამ მოთხოვნილების ასრულებისა, ყოველივე რასაც გამოვექეცი და ვერ გამეგო: ნუ თუ ამ ადამიანს სანათთ ხელში, რომელსაც კონდუქტორი ჰქვია, შესწევს ამდენი შეუბრალებლობა, რომ დამბრუნოს ეს სულის შემწეული ატმოსფერა: მაშ რათ არ ძალმიძს მზამად ვადექტე, ცეცხლით მოვედო და ფერფლად ვაქცია ეს ჯალათი ევა!

—თქვენ იცით თუ არა—მიემართე მას აღელვებულმა—რომ ბილეთების კასსთან დაუსრულებელი „კუდი“ იყო და სანამ ჩემზე მოაწევდა რიგი მატარებელი წავიდოდა?!.. თქვენ იცით თუ არა, რომ თბილისში დარჩენა ჩემთვის სიკვდილია?! თქვენ იცით თუ არა, რომ მე არ შემძლია არ ვიკითხო და კითხვა კი ჩემთვის წამებაა?!.. ოხ ღმერთო ჩემო! სად არის შებრალება!.. სად არის ადამიანური გრძნობა!.., სად არის პატივისცემა მოქალაქის ღირსებისა!..

არ ვიცი კიდევ რამდენი ვიმქერმეტყველე, მხოლოდ როცა გამოვერკვი, ჩემს წინ შეიარაღებული ჯარის კაცები იდგნენ და კატეგორიულ წინადადებას მაძლევდნენ დამეტოვებია მეორე კლასი. მე გაცხარებული პროტესტით უბასუხე ამგვარი ძალადობის წინააღმდეგ.

მაშინ ბალშევიკად გამოაცხადეს და დამაინებეს თავი. მე სწორედ არ ვიცი რას ჰქვია ბალშევიკი, მაგრამ ამას კი მივხვდი, რომ ამ სახელით ძლიერადილი ყოფილა რკინის გზაზე შეზავრობა. ვინ სთქვა მისვლა-მოსვლა გაძნელებულია! გამოაცხადეთ თავიანთ თავი ბალშევიკად და იარეთ! ეს ადვილიც არის და იაფიც.

ვცხოვრობ ეხლა მყუდროებაში რამოდენიმე კვირეა. შეუბნებია: „ფერი მოგივიდაო“.

მეც ვხედავ რომ ნაციონალისტები არ მესიზმრებიან და... უნდა იცოდეთ მერე თუ რა ვეღნიერება ეს!

თქვენ ეკებ ისიც გსურთ გაიგოთ: რომელია ის კურთხეული ქვეყანა, სადაც შესაძლებელია ასეთი ბედნიერი ცხოვრება!

ნურას უკაცრავად!

თქვენ მაშინათვე გახეივებს გამოიგზავნით.

შე ვიცი თქვენი შეუბრალებლობის ამბავი!

თარაზი

დამფუძნებელ კრების არჩევნები კახეთში.

(სტენა ერთ მამყვლებათ)

მომქმენი პირნი:

ცხვირიაშვილი — სოც. დემოკრატი.

ცერცეცაშვილი — სოც. ფედერალისტი

აჯამიანცი — დაშნაკელი.

ხინკალაუჩი — ეროვნული (ნ.-დ).

ჩახველაშვილი — სოფლის კომისარი.

ქიტა, მინა, ბესო — გლეხები.

თხლეშაქეჩიანცი — ხალგაზდა ქალი.

თათელა — დედა-კაცი, მოხუცი.

რაზრაზიანცი — მიკიტანი.

ქიშიაშვილი — მილიციონერი

(მომქმედება სწარმოებს სოფლის სამართველოში.

ცხვირიაშვილი, ცერცეცაშვილი, აჯამიანცი, ხინ,

კალაური და ჩახველაშვილი სხედან მაგიდასთან, რომელიც სდგას კარების პირდაპირ. მაგიდის მარცხენა მხარეს სდგას ურნა. მაგიდაზე აღაგია ბიულეტენები № 1, 6, 4 და 8. შემოდის ქიტა).

ქიტა. კნიაზებს გაუმარჯოს. (იხდის ქუდს), რაღაცა ქალაღი მოუტანია ჩვენსა მილიციონს (აჩვენებს პიროვნების ბარათებს) ჩემთვინ და ჩემი დედაკაცითვინ და უთქვამს კანცალარიაში გიბარებენო. ღმერთია მოწამე, ორი კვირა იქნება რაც ტყეში ვარ შემაზე, ისედაც მთელი სოფელი დამემოწამება, რომ... .

ცხვირიაშვილი. (სიტყვას წყვეტინებს) მოითმინე ქიტავ, შენ გეტყობა არაფერი გაგიგია. ან საიდან გაიგებდი წუხელ მოსულხარ... .

ქიტა. (აწყვეტინებს) არა შენიჭირიმე, როგორ არ გამოგია. დედაკაცმა მელაპარაკა ყველაფერი, მაგრამ ისაც გავიგე, რომ ვინც კაცალარიაში მივა დაიჭერენო.

ცხვირიაშვილი. მაგვარ ხმებს, ჩემო ქიტავ, ხალხის მტრები ავრცელებენ, რომ ხმები დააკარგინონ; ამ ერთ კვირაში ორი ათასი კაცი უნდა მოვიდეს ხმის მისაცემად, აბა ყველას ხომ ვერ დავიჭერთ. ეგ პროვაციაა. შენ სთქვი, რომელ პარტიას აძლევ ხმას. ეს პირველი ნომერი-სოციალ-დემოკრატებია (აჩვენებს ბიულეტენებს) ეს მეექვსე ფედერალისტებისა, ეს მეოთხე დაშნაკელებისა, ეს მერვე ნაციონალ-დემოკრატებისა.

ქიტა. აბა მაგითანების. რომ მამიყოლე, შე დამოცვილო, მე რაეცი მაგებისა. შენ მიხარ, მუშა პარტიის ნომერი რომელია. ფედერალიზტებისა არ მინდა.

ცხვირიაშვილი. აი ეს არის (აჩვენებს №1 სიას) აიღე, ჩადე ამ კონვერტში (აძლევს კონვერტს) და ჩააგდე ამ ყუთში (აჩვენებს).

ქიტა. ერთიც მამეცი თ ამითანა, ჩემი ცოლის ბაღათაც მე ჩავადე, ბარემ აქა ვარ და... .

ცერცეცაშვილი. (შეტევით) არ იქნება. შენი ცოლი თვითონ უნდა მოვიდეს. შენ შენი ხმა მიეცი და წადი.

ქიტა. ჰო, რაკი ზაკონში არარო... აბა... (ავდებს ურნაში კონვერტს და მიდის. შემოდის მინა).

მინა. აბა, ლომრები აქ არი ჩასავდები? ჩახველაშვილი. შენ, რომელი ნომერი გინდა? მინა. აბა, როგორ გითხრა? ი კაუქინ ჯო-

ხვით რო ჩამოყვამთ, ამობენ ის არი მუშა პარტიისაო, ის მომეციო. ჰაა, ფედერალისტებისა არ იყოს... (აჯამიანცი აძლევს კონვერტს და № 1 სიას აჩვენებს როგორც უნდა მოიქცეს)

მისა (ჩააგდებს კონვერტს) ჩემი დედაკაცის ბაღათ რომ მე ჩაავადო, რაუშავს?

აჯამიანცი. არა, იმან თითონ უნდა მოვიდეს. (მისა გადის. შემოდის ბესო)

ბესო. (ხელში უჭირავს ათამდე პიროვნების ბარათი) პირველი რომელია? მაიტა, ერთი ათიოდე მომეციო, ჩვენი უბნის დედაკაცებმა ქაღალდები მე ვამომატანეს, ჩვენ მაგივრათ სუ პირველი ჩაყარო. ჩემი ჩასაგდებიც აქვე მაქვს ცალკე შენახული, (იღებს ჯიბიდან, მაგიდასთან მსხდომთ ეცინებათ)

ცხვირაშვილი. (აძლევს № 1 სიას ეს შენ ჩაავდე, ჩემო ბესო, ის თქვენი უბნის დედაკაცები კი თვითონ მოვიდნენ.

ბესო. (იციინს) რასა ბძანებ, შედალოცვილო, ესლა ი დედაკაცებში ბევრი ახალი ჯვარ დაწერილი პატარძალი ურევია, აბა იმათ აქ რა მიიყვანს, ხომ მოგვხსენებათ...

აჯამიანცი. ვა ჩვენ რავექნათ ზაკონი ესეა.

ბესო. ჰო! აბა როცა ვერე ყოფილა (ავდებს ურნაში კონვერტს და გადის. შემოდის თხლეშაქქიანცი).

ცერცევაშვილი (ფეხზე ადგომით) პირველი მოგცეთ თუ?

თხლეშაქქიანცი. მაშ, მაშ... მე უცოდინარი ვინმე მუეიკი ხომ არ გგონივართ? მე ჩვენმა ტერტერამ უეე მითხრა, რომ სომხების ნომერი მეოთხეა. აი აქა მაქვს (იღებს უბიდან) თქვენ კანვერტი მომეციო...

ცხვირაშვილი. (აძლევს კონვერტს) ეს თქვენი ნებაა, მხოლოდ იცოდეთ, რომ სომხებიც ბევრი აძლევენ ხმას № 1 სიას.

აჯამიანცი. (წამოდგება) *Ва онъ четыре номеръ хочить, какой ваши дѣла?*

თხლეშაქქიანცი. (ართმევს კონვერტს სდებს 4 № და ავდებს ურნაში) სხვა რომ კლდეში გადავარდეს ნეუფელი მეც უნდა გადავყვი?

აჯამიანცი, (ღმილით) *от маладец, ей Бога настаящій патриотка* (თხლეშაქქიანცი გადის. შემოდის თათელა).

თათელა (აჯამიანცს) ნათლი, დღეს ნათლი—ჯალაბი ლაპარაკობდა ჩვენ უბანში, რო ვინც მეოთხე ნომერს ჩაავდებს ოთხ გირვანქა შაქარს მიიღებსო, ვინც პირველსაო-ის კი ერთსაო. დამერთი შვილებს გიცოცხლებს ოთხი ნომერი მომეცი მე ხო იცი თვალთ არ მიჭრის.

აჯამიანცი, ნათლიდედ, შაქარზე რა მოგახსენო, და ეს მეოთხე ნომერი კი მიირთვი (აწვიდის № 4 სიას და კონვერტს).

ხინკალაური. დედი! ნათლი ჯალაბმა ის კი არ გითხრა, რომ თუ მერვე ნომერს ჩაავდებ, რვა გირვანქას მიიღებო? (აძლევს მერვე ნომრის სიას) აი მერვე.

თათელა. შვილო, თუნდაც ნათლიჯალაბს არ ეთქო თუ კი მაგნიარ სიკეთეს მიზამ, არ კი დაგლოცამ. (სდებს აჯამიანცის მიცემულს მე 4 ნომერს და ართმევს მე 8 ნომერს,

ცერცევაშვილი (წამოდგება გაბრაზებული) აბა, აქ სამასხაროთ მოხვედით თუ რა?! (თათელას) დედი, აქ სად ხელამ შაქარსუ! აქ სხვა და სხვა პარტიების სიებია (ჩამოთვლის) რომელიც გინდა აიღე და ჩაავდე აგერ იმ ყუთში.

თათელა. (დაღონებული) წუწუნით) რაკი. შაქარი არა ყოფილა ექვსი ნომერი მომეციო. იციანიან ყველანი, გარდა ცერცევაშვილისა, (თათელა „აძლევს ხმას და გადის. შემოდის რახრახიანცი რომელიც მოვარლია).

რახრახიანცი. მე დღეს გავიგე რომ, ვინც პირველს ჩაავდებს კახეთიდან პერესელიაიტს უშვრებიანო. მართალია? თუ მართალია, ნუ დაიდებთ ჩემი ცოლშვილის ცოდოს, მე გთხოვთ, რომა გუშანდელი ჩაავდებული ისევე ამამავდებინოთ... (ტირის) ვა ნეუფელი ჩემი მოგებული ფული, მამული აქ უნდა დარჩეს და მეკი აქედან ისევე უნდა მიყონ? (ტირილის ხმაზე შემოდის კიმი-აშვილი, რომელსაც გაყავს მოვარლი, ისმის გარედან რახრახიანცის ხმა) ვა, მე რა ვიცოდი, რომ მცოდნოდა ჩემი თავის მტერი გავბდებოდი...

ჯიბილა.

*) „ეშმაკის მათრახში“ იბეჭდებოდა სტატიები ფსევდონიმით „რ. ჯიბილა.“ რედაქცია აცხადებს რომ „ჯიბილა.“ არ არის „რ. ჯიბილა“